ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1133738

ნომერი: AR1197985

თარიღი : 17.02.2014

გაცემის თარიღი : 19.02.2014

გაცნობის თარიღი : 20.02.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელი"-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, თუმცა ამისათვის უნდა გაითვალისწინოთ:

1. საკადასტრო გეგმა არ იძებნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. საჭიროა სამსახურს დამატებით წარმოუდგინოთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, რომლის მოსამზადებლად უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინოთ თქვენი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია (UTM კოორდინატთა სისტემაში) და რეესტრში მისი რეგისტრაციის შემდგომ აღნიშნული დოკუმენტი უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრება"-ს ველში.
2. „არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება“–ის ველში ატვირთულ მინდობილობას მოქმედების ვადა გასული აქვს, ვინაიდან გაცემული იყო 2013 წლის 31 დეკემბრამდე, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული მინდობოლობა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge